სახალხო გაზეთი

№ 890 ხუთშაბათი, 9 მაისი 1913 წ. № 890

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 11 მაისს.

პარასკევს, 10 მაისს, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია **წლის წირვა** და **პანაშვიდი** განსვენებულ

დავით ვასილის ძის
გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად,

რასაც აუწყებენ ნათესავთა ცნაცნობთ განსვენებულის **მშობლები.**

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—წირვის შემდეგ. (39)

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 9 მაისს 1913 წ. ქართ. სახალხო წარმ. მმართ. წრის მიერ გამართული იქნება

საღამო დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის სახსოვრად

მსახიობ ბ. ბ. **ვ. გამყრელიძის** და **კ. ყიფიანის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება განსვენებულის კომედია

პეპო 3 მოქმ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ს. რომანიშვილი—დგებუაძისა, **პიერეტა**, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, **ვ. გამყრელიძე**, ს. რომანიშვილი, **კ. ყიფიანი** და ნ. ჭანკვატაძე. ადგილების ფასი 5 კ.—50 კ—მდე დასაწყისი საღამოს 8½ ს. შემდეგი წარმოდგენა 18 მაი ს, „**იმედის დაღუპვა**“ რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვატაძე** წრის ადმინისტრ. 1160

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ქართ. კულტ. მოყვარულ. საზოგადოება.

დღეს, 9 მაისს, გაიმართება

მესამე საჯარო სხდომა ქართ. კულტ. მოყ. საზოგადოებისა. კრების საგანს შეადგენს:

პოეტ ვახტანგ ორბელიანის და მის პოეზიის გაცნობა.

წაიკითხავენ მოხსენებებს **ვახტანგ ორბელიანის** შესახებ ბ-ნნი **კიტა აბაშიძე** და **დავით კასრაძე. ვახტანგ ორბელიანის რჩეულ ლექსებს** წაიკითხავენ **პოეტები ს. აბაშელი და ა. გრიშაშვილი, თ-დი ნ. დ. ერისთავი** ქართულ სცენის მსახიობნი **ი. იმედაშვილი(?)**... **ივ. ნიჟარაძე(?)**, **ვ. მაჭავარიანი(?)**

წაიკითხავენ მოხსენებებს **ვახტანგ ორბელიანის** შესახებ ბ-ნნი **კიტა აბაშიძე** და **დავით კასრაძე. ვახტანგ ორბელიანის რჩეულ ლექსებს** წაიკითხავენ **პოეტები ს. აბაშელი და ა. გრიშაშვილი, თ-დი ნ. დ. ერისთავი** ქართულ სცენის მსახიობნი **ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, კ. ყიფიანი ნიკ. სულხანიშვილის** გუნდი (75 სულისაგან შემდგარი), შეასრულებს ქართულ ეროვნულ სიმღერების კილოზე გადაღებულ ვახტანგ ორბელიანის ლექსებს და სხვა სიმღერებს, (სხვათა შორის, რ. ერისთავის „**სამშობლო ხევსურისა**“). **დასაწყისი ნაშუადღევს 12½ საათზე.** 1192

ახალი კლუბი

საოჯახო საღამო, დღეს, ხუთშ., 9 მაისს, საზოგადოების სურვილით ქ-ნ ტ. ი. საბანეევისა, ბ-ნ ი. პ. სარაჯიშვილისა, ტ. ს. ორდასა და სხვათა მონაწილეობით, წარმოდგენ. იქნება უკანასკნელად **რიგოლეტო,** 4 მოქმედ ოპერა; ვერდის მუსიკა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი საბანეევა, ნიკოლაევა და ბელოვა; ბ-ნნი სარაჯიშვილი, ორდა, ადასოვი, ინაშვილი, ბირიუკოვი, დავიდოვი და ლუბენ. კი. კლუბის გაძლიერებული და ახალი სიმფონიური ორკესტრი. ჰლოტბარობს ვ. ი. ზელიონი. ✦ ბილეთები თეატრის კასაში, დილის 10—2 ს., საღ. 6—10 ს. ადგილ. ფასი 75 კ.—3 მ, 50 კ.-დე, ჰანჯარა ხელმისაწვდომია. სტუმრ. შესასვლ. იხდიან: კაცები 50 კ., და ქალები 25 კ.

დასაწყ. სწორედ საღ. 8-ნახევ. ს. 1162

საარტისტო საზოგადოების თეატრი

კვირას, 12 მაისს, საღამოს 8-ნახვ. ს.,

მხოლოდ ერთი გასტროლი

მსოფლიოდ ცნობილ **იაპონელ მსახიობ ქალის**

მანაკო ოტასი

ტოკიოს საიმპერატორო დასის არტისტებით. მიმდინარე სეზონში სატახტო ქალაქში მანაკო ოტამ თვისი გასტროლებით ფრიად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

იაპონიის ხელოვნების საღამო

I **თავის მოკვლა** დრამა 2 სურათად. ✦ II **ყავახანაში** პიესა ერთ მოქმედებად. ✦ III **მსახური ქალი ოტაკე,** კომედია ერთ მოქმედებად.

მთავარ როლებს ყველა პიესებში **მანაკო ოტა** შეასრულებს. იაპონური ეროვნული ცეკვა. იაპონურ ინსტრუმენტების დაკვრა. ჭიდაობა ჯიუ-ჯიტსი იაპონური ზნე-ჩვეულებანი. საკუთარი ტანისამოსი და ბუტაფორია.

წარმოდგენის წინ სიტყვას წარმოსთქვამს **ნ. ნ. შესტოვი,** იაპონურ თეატრზე და პიესების შინაარსს განმარტავს.

დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11—3 ს, და საღ. 5-დან. 277

გიმნაზიათა მზრუნველი
საზოგადოების კომიტეტი დაბა ხაშურში,

ტფილის. გუბერ., გორის მაზრა, აუწყებს საზოგადოებას, რომ ორ მოსამზადებელ განყოფილებაში და ხუთ ძირითად კლასში **მისაღები გამოცდები** ხაშურის 6-კლასიან უფლებიან პროგიმნაზიაში მოხდება **15 მაისიდან 31 მაისამდე და 20 აგვისტოდან 31 აგვისტომდე.** თხოვნებს მიიღებს პროგიმნაზიის **გამგე** ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე კვირა-უქმეების გარდა. 275

იყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

კანონი

გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით-ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში. **ფასი 30 კ.**

თარგმანი და გამოცემა ა. თ. ყიფშიძისა.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით:

Тифлисъ. Книжный магазинъ О-ства Расп. Грамотности. 1198

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლევისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ბრიუსელის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჰლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდ(?)**. ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთ ხე). **ტელეფ. № 7—93.** 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ძ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „**606**“ და „**914**“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად,

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ასპისოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არღუთინსკი, ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ახვლედიანი ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—4 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., 4—5 ს.

ვეხელოვზოროვი სადოსტაქრო ყოველ დღე 3—4 საათ.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. ყოველ დღე 2—3 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა. ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ბალდოვი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1—2 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ, ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ა. პ. მხითარიანცი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ქალური და საბებიო ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ტოთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; 11½—12½ საათ.

შამაშა, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1½ 2½ ს.

სათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის ახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ი. ი. გერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოება, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვახსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ. № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. ძმსკოვია ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1053

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბეჭდვითი სიტყვის ახალ კანონ-პროექტის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვეს სატახტო ქალაქთა გაზეთებმა. სხვათა შორის „ნოვ. ვრ.“—ა სწერს:

„პროექტი ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. გაჟღენთილია იმ ტენდენციით, რომ უფრო შეავიწროოს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება; არათუ არ აუმჯობესებს მდგომარეობას, პირიქით, დღევანდელ ცუდ პირობებსაც-კი აუარესებს. გამომცემლებზე პასუხისგების გადატანით პროექტის შემდგენელთ განზრახვა აქვთ, შეაშინონ კაპიტალისტები, რომელნიც ფულს ხარჯავენ გამოცემებზე.“

„ნოვ. ვრ.“ წუხლ-მუხლად არჩევს კანონ-პროექტს და უვარგისად აღიარებს მას. უკეთესი რეკომენდაცია აღარ ეჭირვება შინ. საქმ. სამინისტროს ახალს ნაწარმოებს, რომელსაც სუვორინების გაზეთი ირონიულად იხსენიებს, როგორც „კალმის ვარჯიშსს“.

* * *

კადეტების „რეჩი“, რასა თქმა უნდა, უფრო სასტიკად ეხება კანონ-პროექტს:

„პროექტის მუხლთა უმრავლესი ნაწილი წარმოადგენს უბრალო კოდიფიკაციას ძველის საცენზურო წესდებისას. ეს არის ძველის წესების აღდგენა,—იმ წესებისა, რომელნიც ახრჩობდნენ ბეჭდვითი სიტყვას კონსტიტუციის ხანამდე. ხოლო, რაც ახალია პროექტში, ის ძალიანა ჰგავს იმას, რასაც ყოველთვის იმეორებენ „ზუბრების“ საზოგადო კრებებზე. ახალი პროექტი ნაკარნახევია შეერთებულ თავად-აზნაურობის საზოგადო კრებების მიერ, რომელთა ლაღადს პრესსის ალაგმის საჭიროების შესახებ სამინისტრომ ყური ათხოვა“...

საერთოდ, პროექტის დამცველი ცოტა აღმოჩნდა, არა თუ ლიბერალურ პრესსაში, თვით ზომიერთა ჯგუფების პრესსაშიაც. ამიტომ, არავინ არ მოელის მის დადასტურებას სახ. სათათბიროსაგან.

* * *

გაზეთი „ლუჩ“-ი აღნიშნავს დამახასიათებელს მოვლენას წლევანდელ საპირველმაისო გაფიცვებისას:

„ღირსშესანიშნავი არაა განა, რომ ამ წლის სამაისო მოძრაობამ შეანგრია ლოკაუტების ის სისტემა, რომლითაც მხოლოდ შარშან გადასწყვიტეს ფაბრიკანტებმა და მექარხნეებმა—ებრძოლონ მუშათა ყოველგვარ პოლიტიკურ გაფიცვებს?! წელს ვერც პეტერბურგის, ვერც მოსკოვის მეფაბრიკეებმა ვერ მოახერხეს შეთანხმება მუშების დაჯარიმების შესახებ პირველ მაისის გაფიცვისათვის და ბოლოს თითოეულ მრეწველის „შეხედულებაზე“ მიაგდეს საქმე. და, როგორც ეხლა გამოირკვა, ბევრმა მექარხნემ წინდაწინვე, თურმე, მისცა „ოტპუსკები“ მუშებს პირველ მაისს, რითაც ამ მექარხნეებმა დიდი რისხვა დაიმსახურეს შავრაზმელ პრესსისაგან. მაგრამ, შავრაზმელი პრესსა სცდება და ტყუილადა სდებს ბრალს მრეწველებს: ესენი დიდის სიამოვნებით განაგრძობდნენ ჯარიმებისა და ლოკაუტების პრაქტიკას, რომ ძალა შესწევდეთ, რომ იძულებულნი არ იყვნენ და არ ეშინოდეთ უფრო მძლავრის ტალღის აზობოქრებისა“.

* * *

ოფიციალური გაზეთი „როსსია“ შეუდგა დაცვას... არაყისასა. არა გჯერათ? დაუგდეთ ყური:

„არაყი თავისთავად ბოროტება როდია; პირიქით, მისი ზომიერად ხმარება კარგად მოქმედებს ადამიანის სხეულსა და ჯანმრთელობაზე, როგორც ამასმოწმობენ გამოჩენილი ავტორიტეტებიც“.

იქ, სადაც მაგარ სასმელების მონოპოლია სახელმწიფო შემოსავლის უდიდესი წყაროა, ოფიციალებსა და ოფიციოზებს რაღა გზა აქვთ, თუ არაყს გუნდრუკი არ უკმიეს?!

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ილიას ძეგლის კურთხევის** გამო რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ხონის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების გამგეობა სიამოვნებით ეგებება დიდებული მწერლის და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ილიას ძეგლის კურთხევას“.

✦ დღეს, 9 მაისს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მწირველი იქნება ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოზი **გორისა.**

✦ **დავით ეპისკოპოსის ახალი წიგნი.** გამოვიდა და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ყოვლად სამღვდელო დავითის ქადაგებათა მეორე ნაწილი. პატივცემულ ავტორს ეს გამოცემაც ისევ იმ სიმპატიურ დაწესებულებისათვის შეუწირავს, რომელსაც უძღვნა პირველი ნაწილიც,—ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოსათვის. წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 116 გვერდსა და ღირს სამი შაური.

✦ **წვრილი კრედიტი.** რამდენიმე კერძო პირის თაოსნობით ტფილისში არსდება წვრილი კრედიტის საზოგადოება ხელოსანთათვის. საზოგადოების დამაარსებელთა პირველი კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება (ნემეცების ქ., № 8) წესდების პროექტის შესამუშავებლად.

✦ **გადმოსახლებულთა შორის.** საეპარქიო მისიონერს ა. პლატონოვს დაევალა, დაიაროს ის ადგილები, სადაც რუსები არიან დასახლებულნი და გამოარკვიოს, რა მდგომა-

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჰლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი კბილის **ა. გ. ხოლოდაშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ვკისრულობთ:

თარგმანს სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი,** მუხრანის ქუჩა, „**შრომის**“ სტამბის გვერდით, სახლი **№ 12.** ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონისა. ტელეფ. 9-55.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

რეობაში იქ საეკლესიო საქმეები. განზრახულია, ეკლესიები აავონ ყველა იმ ადგილში, სადაც ამ ჟამად არ არსებობს.

◆ **ვერის საქალაქო პარკის** გაფართოვება საბოლოოდ გადაწყვეტილია. განზრახულია, ამ აზრით შეიძინა პარკის გვერდით მდებარე მიწა ტურკოვსკისა. კვირას, 12 მაისს, ქალაქის გამგეობის წევრნი და საბჭოს ხმოსნები პარკისა და ტურკოვსკის მიწის დასათვალიერებლად მიემგზავრებიან.

◆ **ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის** ზოგიერთ მანქანის შესაძენად ქალაქის გამგეობა საბჭოსაგან 1,200 მან. თხოულობდა საბჭომ დაადგინა ამ საგანზე მსჯელობა იქონიოს 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს.

◆ **საზოგადოება „განათლება“** 12 მაისს ავლაბრის კლუბის საზაფხულო ბაღში (მიხეილის ქუჩა, 65) დიდს სახალხო სეირნობას მართავს.

◆ **ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა.** გუშინ, 8 მაისს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ, დაკრძალეს გვამი ახლად გარდაცვალებულის ეფროსინე ქაიხოსროს ასულის კლდიაშვილისა. განსვენებული ეკუთვნოდა იმ მცირე რიცხვს ქართველ ძველ ქალებისას, რომელთაც ევროპიული განათლება არ მიუღიათ, მაგრამ შეგნებულნი, კულტურული ადამიანნი არიან, მცოდნენი ძველის მწერლობისა და მოყვარულნი თანამედროვე ქართულ ლიტერატურისა. გარდაცვალებული გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ჩვენს მწერლობასა და საზოგადო მოღვაწეობას. ახალგაზდობაში, როცა ამ ასპარეზზე ცოტა მუშაკი იყო, რუსულიც შეისწავლა და სთარგმნიდა მოთხრობებს. ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც ნიჭიერი სცენის მოყვარე და მონაწილეობას იღებდა წარმოდგენებში. უკანასკნელ წლებში გულმოდგინედ იღვწოდა მის მიერ სოფ. სიმონეთში დაარსებულ ბიბლიოთეკის შესანახად. ეს ბიბლიოთეკა მანვე დაარსა თავის შვილის, საბა კლდიაშვილის სახსოვრად, რომელიც არეულობის დროს ოდესაში იქმნა მოკლული ხულიგანების მიერ.

◆ **სასმელ წყლის ძებნაში.** ქალაქის საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დღეს საღამოს, ავჭალის წყალსადენის გაფართოვებისა და გაუმჯობესების საკითხს განიხილავს. ამ საქმისათვის ქალაქის გამგეობა საბჭოსაგან 360,000 მან. თხოულობს.

◆ **წესიერი დასვენება.** სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებათა პროექტის შესამუშავებლად 10 მაისს კრება ექმნება ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას.

◆ **ქალაქის გამგეობაში.** რადგანაც საზაფხულო სეზონი ახლოვდება, როდესაც საბჭოს კრებები სულ უნდა შესწყდეს, საბჭოს კი ბევრი ისეთი დიდი საქმე აქვს განსახილველი, რომლის გადადება არ შეიძლება, ამიტომ განზრახვა აქვთ, მაისის შუა რიცხვებიდან საბჭოს კრებები კვირაში ორჯელ დაინიშნოს.

◆ **ბალანსი** ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოებისა, რომელიც ამ სამის თვის წინად დაარსდა, მიმდინარე წლის 1 მაისს 18,862 მან. უდრიდა.

◆ ქალაქის მერვე უბნის სავაჭრო მეთვალყურემ ბექედ **დაუსმელი ლორი** აღმოაჩინა: დ. ძამიშვილის საკალბასო დაწესებულებაში — 160 ცალი და ვ. პეტრიაშვილისაში—266 ცალი. ლორი გამოსაკვლევად ქალაქის საქიმიო ლაბორატორიას გაეგზავნა.

◆ **საბირჟო ცნობები.** 8 მაისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მ. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 50 კ., აძლევენ—83 მ. 10 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან. აძლევენ—78 მან.

◆ 6 მაისს, სვიმონ ალექსანდრეს ძე ქიტიაშვილმა თავის მოწამვლა განიზრახა და ნიშადურის სპირტი დალია, მაგრამ გადარჩა.

◆ 7 მაისს, კალოუბნის ეკლესიის მღვდელს მათე მონასელიძეს ჯიბიდან ამოაცალეს ქისა და ოქროს ჯვარი. ქურდი, გოლოვკოვი, პოლიციამ შეიპყრო.

◆ ორნი, კარახანოვი და ფაცინაშვილი, ერთს ქალს ეარშიყებოდნენ. ამ ნიადაგზე მათ ჩხუბი მოუვიდათ. კარახანოვმა დანით დასჭრა ფაცინაშვილი. დაჭრილს მიხეილის საავადმყოფოში აღმოუჩინეს დახმარება, კარახანოვი შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ვახტანგ ორბელიანის დილა.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, ნაშუადღევის 12 ნახ. საათზე, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება პოეტ ვახტანგ ორბელიანის დილასა მართავს. მოხსენებებს წაიკითხავენ ბ.ბ. კიტა აბაშიძე. ლიტერატურულ - ვოკალურ განყოფილებაში მონაწილეობას იღებენ: პოეტები ს. აბაშელი და ი. გრიშაშვილი, თ-დი ნ. დ. ერისთავი, ქართულ სცენის მსახიობნი: ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, კ. ყიფიანი და კომპოზიტორ ნიკ. სულხანიშვილის ქართული გუნდი.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 13 მაისისთვის დაინიშნა: ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საბჭოს ამ დღეს წარუდგინოს განსახილველად ის საქმეები, რომელიც 7 მაისის კრებას განუხილველი დარჩა და რამდენიმე ახალი საკითხი: ტრამვაის საელექტრონო სადგურზე ორთქლის მანქანების შეცვლა დიზელებით, მიმართვა რკინის გზის სამმართველოსადმი, რომ ქალაქს დროზე გამოუგზავნოს ის ფული, რომელიც ეკუთვნის რკინის გზის საჭიროებათათვის ჩამორთმეულ საქალაქო მიწებში.

◆ **ქალაქის საკრედიტო საზოგადოების** გამგეობის კრება 7 მაისს მოხდა. გამგეობამ დაადგინა, მოიწვიოს 14 მაისისთვის საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება გამგეობის თავჯდომარის ასარჩევად, ნაცვლად ბ-ნ გამბაროვისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

◆ საზოგადოებრივ კლუბში (აბასაბადის მოედანი, № 7) შაბათს გაიმართება საღამო. პროფ. დუბროვსკი წაიკითხავს ლექციას „ინგლისის თანამედროვე კულტურა“.

◆ 9 მაისს ტფილისის სახალხო გასართობთა საზოგადოება ფიქრისგორაზე ჰმართავს უკანასკნელად საგაზაფხულო სეირნობას.

სეირნობის პროგრამა გაფართოვებულია.

◆ დღეს, 9 მაისს, დილის 11 საათზე მთაწმინდის ქუჩაზე სახ. № 18 დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის სამარხი კასის საზოგადოების წევრთა. ანგარიშებიდან სჩანს, რომ 1912 წლის 1 იანვრიდან 1913 წლის პირველ იანვრამდე იყო სულ 401 წევრი. 1912 წლის 1 იანვრისათვის კასაში დარჩენილი იყო 1099 მან. და 7 კაპ. 1912 წლის განმავლობაში შემოვიდა 383 მან. და 80 კ. ე. ი. სულ ყოფილა 1482 მან. 87 კაპ. ამ ხნის განმავლობაში დასახმარებლად მიუციათ 135 მ., სხვადასხვა საჭიროებაზე დახარჯულა 121 მ. და 51 კ. და ფულად დარჩენილა კასაში 1226 მ. და 36 კაპ. რომლიდანაც 1205 მ. და 79 კაპ. სამეურნეო ბანკში ინახება, ხაზინადრის ხელში კი 20 მ. და 57 კ. ყოფილა.

სასწავლებლებში

◆ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის** უკანასკნელ კლასის მოსწავლეთა გამოცდა საზოგადო-საგანმანათლებლო საგნებში უკვე დასრულდა. 4 ივნისს მოწაფეთა ნამუშევარს საგანგებო საექსპერტო კომისია შეამოწმებს.

სასამართლო

◆ **სალიტერატურო საქმე.** 28 მაისისათვის ტფ. ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნულია „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქტორ დ. მ. დუმბაძისა და ჟურნალისტ ლ. დ. ყიფიანისა, რომლებსაც ტფ. სარკინიგზო სასწავლებლის ინსპექტორი და ორი მასწავლებელი ცილის დაწამებას უჩივიან. მომჩივანთა სიტყვით ცილის დაწამება გამოიხატა იმაში, რომ ლ. ყიფიანმა ხსენებულ გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა რკინის გზის სასწავლებლის წესებსა.

სომეხთა ცხოვრება

◆ 7 მაისს არტისტიულ თეატრში დიდის ამბით გადახდილ იქმნა სომხის მსახიობის გ. ტერ-დავთიანის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეი. იუბილიარმა მიიღო მრავალი საჩუქრი და გვირგვინები. დღეს მოხდება ბანკეტი მის პატივსაცემლად.

◆ კავკასიის სომეხ მწერალთა საზოგადოება ამ ახლო ხანში ძეგლს დაადგავს სომხის ცნობილ პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის ლაზაროს აღაიანის საფლავს.

◆ ახლო მომავალში გამოვა სომეხთა ცნობილ რომანისტის რაფფის ვრცელი ბიოგრაფია, რომელსაც ადგენს **თვით რაფფის** ქვრივი.

გორი

◆ 18 მაისს, გორის საკრებულოს დარბაზში, **გრიგოლ რობაქიძე** წაიკითხავს ლექციას: **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტრაგედია.“**

სოხუმი

◆ სოხუმში ამ ჟამად შესდგა ამხანაგობა „ჩერნომორიეს“ სახელწოდებით, რომელსაც სურვილი აქვს მოაწყოს აქ არყისა და კონიაკის ქარხანა. ამხანაგობაში შედის 150 მეტი წევრი, რომელთაც აქვთ სხვა და სხვა ადგილას თავისი სავაჭროები. ამხანაგობას სათავეში უდგანან ბ. ბ. ქრ. ნადარეიშვილი, მაქსიმე დავითაია და გიორგი ცხომელიძე.

◆ სახალხო სკოლის ინსპექტორად ნამყოფი კ. დ. მაჭავარიანი აქ აარსებს ახალ გაზეთს რუსულ ენაზე,—„სოხუმსკი კურიერ“-ს.

დღიური

გაწყვეტილი სიტყვა

ეს იყო სამი წლის წინად, როცა მეწვივნენ დაუპატიჟებელი სტუმრები, განმაშორეს საყვარელს საქმეს, ძალით წამგლიჯეს ხელიდან კალამი, გამაწყვეტინეს სიტყვა და დაადუმეს ენა ჩემი. სანატრელი გახდა ჩემთვის მოწმენდილი ცა მამულის, აღარ მესმოდა მოძმის ხმა გამამხნევებელი, დაობლებული გული მხოლოდ ბორკილების ჩხარუნს უგდებდა ყურს და სული მშიერი დამჭკნარ ოცნებით და ნატვრის აჩრდილებით ლა იკვებებოდა. ნახევრად დაწერილი წერილი წაიშალა, გაჰქრა, ჭორომა შთანთქა...

მაშინ ვუპასუხებდი, ვინც მისაყვედურებდა, რომ ჩემი ნაწერი ძალზე ნაღვლიანი იყო, ფიქრები უსაფუძვლოდ შავსევდიანი და უიმედობას აღუძრავდა მკითხველებს. მეტყვიან ახლაც: პესიმისტი ვარ, ურწმუნო, სასოწარკვეთილი. ცილის წამებაა, ბრალდება შეუფერებელი, შეცოდება არ გასამართლებელი. განა პესიმისტია, ვინც საკუთარის გულით განიცდის ჩვენი ღლევანდელი ცხოვრების სიავეს? ურწმუნოა, ვის ასულდგმულებს სახე აღდგენილის ერის მომავალისა და სასოწარკვეთილია, ვინც მოგვაწოდებს დაუღალავი შრომისა, მედგარ ბრძოლისა და მტკიცე შემოქმედებისათვის?

თუ ცრემლი შერეულია ჩემს სიტყვებში, მიტომ რომ გულის სისხლითაა დაწერილი და ნაღველი ჩემი ნერვების წვენია. თუ სევდას მოუცავს ჩემი არსება, მიტომ რომ ვხედავ მშობლიურ კერის ღდნავად მბჟუტავს, დედას ლეჩაქ მოხდილს ჩავარდნილის თვალებით, დაღარულის სახით, ეზო-ბაღს გაოხრებულს, გატიალებულს, სამშობლო მიწას დათხრილს. თუ სული შფოთავს, მიტომ რომ შეხუთულია და სვავნი და ყორანნი თავს დასჩხავიან. თუ ვსტირი, მიტომ რომ გული დასერილია დანით, დაჩხვლეტილია ნესვებით და მთელი სხეული დაჭრილია, იარებითაა მოფენილი! განა არა თუ? არ ვგრძნობდეთ ტკივილებს და სირცხვილია ცრემლი, როცა იტანჯები, იტანჯები ხშირად უმეგობროდ, უსიტყვოდ? არა, ნუვინ მაყვედრის, რომ სიტყვა ჩემი ნაღველსა და ცრემლშია გალესილი. სირცხვილი არაა განცდა ერის გოლგოთისა და ჩემი გოდება და გლოვის ზარი სარკეა ამ განცდისა. ტირილი უიმედობა არაა. იგი გრძნობა, შეგნება, შემეცნება ტკივილისა, ვაებისა და ვაება სასოწარმკვეთელია მხოლოდ ლაჩარში, ჯაბანსა დ დაკარგულში სული მთელი, გული ძლიერი მით მოიპოვებს შეუპოვრებას, სიმხნევეს, ახალს ძალას, გამბედაობას დ რწმენას. წამების განმცდელი ხელმეორედ იბადება გამშვენიერებული, მონათლული და შემკული ღვთიურის შარავანდედით. ტანჯვა გლახას გასტეხავს დ ღონიერ და გონიერს კი ფოლადად აქცევს. ღრმად ვიგემოთ წამებანი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, ვგრძნობდეთ დაუსვენებლად ჩვენი ჭრილობათა სიმწვავეს, ვაფრქვიოთ ცრემლნი ცხარენი—ეს ნუგეშის მცემელია, არა დამაავადებელი, ეს განთიადისკენ მიგვიწევს, არა სიბნელისაკენ, ეს სამოქმედოდ აღგვძრავს და არა განსასვენებლად!

ვუცქიროთ, ვუცქიროთ ჩვენს იარებს, ჩვენს ჩირქებს, ბალღამს, გულიდან ამოხეთქილს სისხლს; ყურს ნუ ავარიდებთ მშობლის კვნესას—ვუსმენდეთ, ვუსმენდეთ, დაე დადუმდეს სმენა ჩვენი ტკბილი ხმებისთვის. მერწმუნეთ, ეს არ დააუძლურებს ჩვენს სულს, არ წარგვიკვეთს იმედს—ეს მოაახლოვებს მხოლოდ დღეს აღდგენისას, რადგან აღდგენა მეორე დღეა ტირილისა და ვაების განცდის შემდეგ. ხელფეხ შებორკილნი, წამებულნი, დამცირებულნი ვართ—ეს შევიგნოთ, ვიგრძნოთ სავსებით, განვიცადოთ და ვიტიროთ, თუ გვეტირების; ნუ გვრცხვენია, ნუ გვეშინია ამის. საშინელია ჩვენი ყოფა, მაგრამ უფრო საშინელი ისაა, თუ არ განვიცდით ჩვენს გულში ამ საშინელებას.

ურწმუნო არა ვარ. მეტად მორწმუნე ვარ, ხოლო რწმენა რწმენაა და ფატალისტობა კიდევ სხვა. ჩვენი ხსნა თავისთავად არ მოვა. სინამდვილის არ დანახვა, ვაების არ შეგნება რწმენა როდია და ჩვენი რწმენა, ბედი და უბედობა არაა გარეშე ჩვენსა, არამედ ჩვენს გულში, ჩვენს სულში, ჩვენს შემოქმედებაში!..

სიტყვა.

ტფ. ქალაქის საბჭო

7 მაისის კრება

კრება საღამოს 8½ საათზე იწყება ქალაქის მოურავის **ა. ი. ხატისოვის** თავმჯდომარეობით.

თხოვნა ნაძალადეველებისა და ლოტკის გორელებისა, რომელიც იჯარით აღებულ საქალაქო მიწების გამოსყიდვის ვადის გაგრძელებას თხოულობენ, ხანგრძლივ კამათს იწვევს.

საქმის ვითარება შემდეგია: 1910 წელს ქალაქის გამგეობამ, ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, ნება დართო ნაძალადევისა და ლოტკის გორის მოიჯარადრეთ, ექვსი წლის განმავლობაში გამოისყიდონ იჯარით აღებული საქალაქო მიწები. ქალაქმა მიწები თვით შეაფასა. მოიჯარადრეთ ფული ნაწილ-ნაწილად უნდა ეძლიათ, ნახევარ წელიწადში ერთხელ. ზოგმა მოიჯარადრემ ეს პირობა ვერ შეასრულა სხვა და სხვა მიზეზის გამო. ამიტომ იმათ ქალაქის გამგეობას სთხოვეს, გამოსყიდვის ვადა კიდევ სამის წლით გაუგრძელონ.

ქალაქის გამგეობის აზრით ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

ხმ. უტეშევი საბჭოს კრებას უხსნის, რომ მოიჯარადრეთა უმრავლესობა რკინის-გზის მდაბალი მოსამსახურენი და მუშები არიან; მიწების გამოსყიდვას საპენსიო კასის შემწეობით ჰფიქრობენ, ზოგმა ფული კიდეც გამოიტანა კასიდან, მზად არიან, გადასახადი გაისტუმრონ, მაგრამ ქალაქი ფულს აღარ იღებს მათგან, რადგანაც პირველი ვადები გაუშვეს. დასასრულ ხმ. უტეშევი, ნაძალადეველთა წარმომადგენელი, საბჭოს წინაშე შუამდგომლობს, ნება დართოს მოიჯარადრეებს, გამოისყიდონ მიწები.

ხმ. ქსავერიევი უტეშევს ემხრობა და აღნიშნავს, რომ მიწები ძვირად არის შეფასებული, შენობების აგება მოიჯარადრეთ ძვირად დაუჯდათ, სახლების ქირა კი—მცირეა. თხოულობს მოიჯარადრეთა თხოვნის დაკმაყოფილებას.

ხმ. ხუნუნცის სიტყვით არც ერთი მოიჯარადრე ისეთ შეღავათით არ სარგებლობს, როგორც ნაძალადეველნი. 1907 წლიდან, როდესაც მე—განაგრძნობს ხუნუნცი—ხმოსნად ამირჩიეს, არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, როდესაც ქალაქს ასეთი შეღავათი ვისთვისმე მიეცეს; მივეცით უკანასკნელი ვადა ნაძალადეველთ და ლოტკის გორელთ, მაგრამ პირობა არ შეასრულეს. ბოლო უნდა მოეღოს ამ საქმეს. ამიტომ ვთხოულობ, შუამდგომლობა უარვყოთ.

ხმ. ქობულაშვილი ხუნუნცის აზრის წინააღმდეგია და თავგამოდებით თხოულობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას.

ხმ. ხუნდაძე. მე ვიცი, რომ ბევრმა იჯარადარმა საიჯარო მიწებზე სახლები ოფლითა და სისხლით ააშენა. ამიტომ საჭიროა შეუმსუბუქოთ ვალდებულობის შესრულების პირობები, მით უფრო, რომ ისინი პატივებას კი არა თხოულობენ, არამედ მხოლოდ ვადის გაგძელებას სამის წლით.

გამგეობის წევრი **თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი** აცხა-

ცხოვრება და ხელოვნება

(1912 წლ. ლიტერატურის მიმოხილვის მაგიერი)

IV *)

მედიას სიყვარული კიდევ სხვა ჯურის არის. ამგვარ სიყვარულის შესახებ „ქებათა-ქება“: „მძლავრ არს, ვითარცა სიკვდილი სიყვარული“-ო და მას თან ახლავს, „ფიცხელი ვით ჯოჯოხეთი შური“. ეს სიყვარული ფატალური რამ გრძნობაა, რომელიც ადამიანს გონებას ართმევს განსჯის ძალას უდუნებს და ერთის განწყობილების ერთის სურვის მონადა დაყმად ჰხდის. იგი გრძნობა მსხვერპლად თხოულობს ადამიანს მთელის თავისის არსებით: სამშობლო, კაცობრიობა, ყოველივე იდეალი, ყოველივე კავშირი, ყოველივე მოთხოვნილება, რჯული და ჩვეულება, თვით ღმერთიც უნდა მიტანილ იქმნეს ამ სისხლის-მწოველ კერპის საკურთხეველზე. ამ გრძნობით შეპყრობილი ადამიანი ერთგვარ სონამბულად იქცევა, რომელიც თავის თავს აღარ ეკუთვნის, არამედ რაღაც უცნაურის მაჯლაჯუნის, ჯადოქარის სრულ ბრძანებისა და განკარგულების ქვეშ იმყოფება. მისთვის ადამიანი, თვით სატრფოც კი, გრძნობის ერთგვარ ატრიბუტად იქცევა. ამ სიყვარულით შეპყრობილ ადამიანს მარტო თავისი ვნებათა-ღელვა, თავისი სურვა ამოქმედებს და ამოძრავებს, გარეშე ამისა მისთვის ყოველივე წყვდიადით არის მოცული. მისს არსებაში ეს გრძნობა უცხო რამე პლანეტად იქცევა, რომელიც ცის სივრცეში სრბოლის დროს იზიდავს თავისკენ ყველაფერს, რაც გზაზედ შეხვდება, თავზე ივლებს, ყოველივეს ციბრუტივით თავის ნებაზე ატრიალებს.

ამგვარია მედიას გრძნობა იასონისადმი: რამდენად რენოს გრძნობა ნაზია და თავგანწირული, იმდენად ეს მძაფრია და საბედისწერო. რამდენად რენოს ტრფობა მომხიბლავის მორჩილებითა და ერთგულებით არის ალსავსე, იმდენად მედიას გრძნობა დესპოტურია და თავნება.

მედიასათვის არ არსებობს სიყვარული ცალმხრივი, თუმცა ბუნების უცნაური კანონები ამგვარ განწყობილებასა და დამოკიდებულებას თითქო ჩვეულებრივ მოვლენად აქცევენ; თუმცა ყოველი წყვილი ღრმა გრძნობით დაკავშირებული სხვა და სხვა გვარი გამოსახულებაა ამნაირის ტრაგიზმისა. ერთს უყვარს მეორე, მეორე ითმენს ამ სიყვარულს ნებასართავს ამ სიყვარულის საგნად იქმნეს დასახული, ამ სიყვარულის ალში იქმნეს გახვეული. მას ანიჭებს ერთგვარ ნეტარებასა და კმაყოფილებას ამგვარი თავგანწირულება და გრძნოპიერება. რომ ვსთქვათ ეს მეორე არსება სიამოვნებით ასრულებს თავისებურ საკურთხევლის როლს, რომელზედაც უნდა აღენთოს სამარადისო ცეცხლი პირველი არსების ტრფიალებისა. ყოველ კავშირში, რომელსაც ფატალური ხასიათი აქვს ჩვენის არსების უღრმესსა და უძლიერესს ინსტინქტს შეეხება და რომელიც ორს ადამიანს სასიკვდილოდ და სასიცოცხლო აერთებს—ყოველ ამგვარ საურთიერთო განწყობილებაში სქესთა შორის, სიყვარულია იგი თუ მეგობრობა, ერთი პასსივურს როლს ასრულებს, მეორე კი აქტივურს. კავშირის სიძლიერისათვის საჭიროა მარტო და მხოლოდ ისა, რომ ერთიმეორეს გაყინულის გულგრილობითა და ზიზღით არ ეპყრობოდეს და მეორის აღფრთოვანებას ცივი წყალი არ გვდაასხას ხოლმე. მრავალ-ნაირია ეს თავდაჭერილი მიღება გრძნობისა, ვით ღირსეულის ძღვენისა და მრავალფერი ეს თავდავიწყებითი სურვილი გრძნობისათვის უსაზღვროების მოპოვებისა: უმაღლესი წერტილია, როდეს სიყვარულის საგნისათვის „ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“ და უკანასკნელი საფეხური, როდესაც „დღეს ერთი უნდეს ხვალე სხვა“. ამ ფარგალში შეიძლება მოემწყვდეს დემეტიკას ტრფიალიც (ისე როგორც ეროდეს ასულისა და ვენერასი), რენოს მაღალი მგრძნობელობა, ელეს არა ამ ქვეყნიური გრძნობა და მედიას უცნაური, თავზარდამცემი სიყვარული, რომელიც „მძლავრ არს ვითარცა სიკვდილი“ და „ფიცხელი ვით ჯოჯოხეთი“.

ის ვინც სიყვარულის,—ადამიანთა შორის უღრმესის დამოკიდებულების,—ამგვარ თვისებას ვერ შეიგნებს, შეიშვნევს და შეითვისებს, იგი თავის დღეში ვერ დაეწაფება ამ უკვდავების წყაროს. და განა თუ ყოველგვარი განცდა, რომელსაც დატკბობის ხასიათი აქვს. ამგვარი ცალმხრივი ხასიათის არაა? ბუნების დიდებულებით ჩვენ ვსტკბებით და ექსტაზში მოვდივართ ისე, რომ ბუნება სრულიადაც არა თუ არ ინაწილებს, უთუოდ ვერც კი ამჩნევს ჩვენის აღტაცების სიძლიერეს. დიდებულის ნაწარმოების წაკითხვით, გაგონებით და ნახვით ჩვენ ბედნიერებას განვიცდით, ისე რომ მისი შემქმნელი სრულიადაც ვერასა გრძნობს, არ იცის თუ რა სულის განწყობილებაზედა ვართ მისი შემოქმედების წყალობით.

რაღად უნდა მოვსთხოვოთ სიყვარულისა და ღვთაებრივის ეშხით მომჯადოებელ არსებას სხვა რამე, თუ არ ისა, რომ იგი ნებასა გვრთავს მისი ძლევამოსილის მშვენიერებით დავსტკბეთ, თუ გინდ წუთიერიც იყოს ეს დატკბობა, იმ პირობით კი რომ ეს თანხმობა სრულიად ნებაყოფლობითი იყოს და მასაც სასიამოვნოდ რჩებოდეს. აქ ყოველი დიდებული შემოქმედების ავტორი—ხელოვანი, ჩვენში დიადის გრძნობისა და ფიქრის აღმძვრელი, კმაყოფილია და ნასიამოვნები, თუ კი იცის მისი ნაწარმოების ცხოველმყოფელი გავლენა. რენოს კარგადა აქვს შეგნებული ეს საბედისწერო თვისება სიყვარულისა, ამიტომაც არას მოითხოვს სატრფოსაგან. რენოს უყვარს თავისი გრძნობა სიყვარულისა და ცხოვრებისა, საგანს მისის ლტოლვისას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ამ გრძნობის ნივთიერი გამომსახველია. ამიტომაც არის, რომ მისი გული ყოველთვის განიცდის ერთგვარ კმაყოფილებას, თუმც იგი ტანჯვითაც იყოს გამსჭვალული, იმიტომ რომ მის გულში მარადის ღვივის დაუშრობელი ალი მძლავრის გრძნობიერებისა. როცა საგანი მისი ტრფიალებისა ზურგს შეაქცევს, იგი იმითაც კმაყოფილდება, რომ მის ლანდს, მისს ხსოვნას თავს ევლება:

„მოგიკრიფე მთის ყვავილი, თეთრსპეტაკი, მონარნარე,
„საუცხოვო კონად შევკარ, მისმან შუქმან მორთოს არე,
„მოლოდინში დასჭკნა იგი, ჰსურს ფურცელნი ჩამოჰყაროს“.

კიდევაც მოგახსენეთ მედიას სიყვარული სულ სხვაგვარია. მას თავგანწირულება სწამს, სანამ ამ გრძნობას ხელს უწყობს, აცხოვლებს მას და სატრფოს უმონებს. მსხვერპლი იმდენად მიაჩნია, რამდენად იგი ნაყოფიერია და დაჯილდოვებული. ერთის წუთის გულგრილობასაც კი არ აპატიებს იგი თავისს მიჯნურს. მას არა სწამს არავითარი სენტიმენტალური დამორჩილება ბედისა. მას არსებითად არ შეუძლიან რენოსგვარ შურისძიებას მიმართოს, რომელიც ლოცვა-კურთხევაა მოღალატე მიჯნურისა.

ბ. შანშიაშვილი საუცხოვოდ გვისურათებს ამ ჯურის გრძნობას, მაგრამ მთელი ნაკლულევანება ამ სურათისა იმაშია, რომ მედეა ჯადოდ არის წარმოდგენილი და ეს მისი თვისება ხელს უშლის მის ადამიანობრივ სახეს. ამის შედეგი კი ის არის, რომ მედეას მოხიბვლა, სასოწარკვეთილება, ტანჯვა და გააფთრებული შურისძიება ბუნებრივობასა ჰკარგავს და რაღაც არა ჩვეულებრივ, არა ამ ქვეყნიურ ფარგალში მოხდება. ეს კი ჩვენ ცოტა არ იყოს გულგრილად გვტოვებს მედიას მრავალგვარ განცდის შესახებ და ხელს გვიშლის გავიმსჭვალოთ მის მიმართ იმ ღრმა თანაგრძნობით, რომელიც ჰბადებს ესთეტიურ სიამოვნებასა და კმაყოფილებას. აი მედიას სურათი:

„იგი იყო ხელოვანი, ბედის წერის წინად მცნობი;
„დარბაისელს სასწაულში არვინა ჩნდა უფრო მჯობი.
„ჯადოსნობის მოქმედებით ყრმას მოხუცად გარდაჰქმნიდა
„მხდალს უდგამდა გმირის სულსა, გმირს ვაგლახად შიშსა ჰგვრიდა.
„ზაფხულობით ხეს ახმობდა, აყვავებდა ზამთრით არეს;
„ამას ძველად ღმერთად რაცხდნენ, ადარებდნენ მზეს და მთვარეს“.

და აი ამ უცნაურს ქალს შეიპყრობს უძლეველი ძალი სიყვარულისა და იგი ამნაირად გვამცნებს თავის მდგომარეობას.

„ვაი ჩემს თავს, რომ მომხიბლა და წამართვა გულის ცნობა!
რად მომესპო სიხარული, რად მიზადავს მისი ტრფობა?
რად დავკარგე ჩემი სიმხნე, ჩემი ძალა, ჯადოსნობა?
ყველას ფერი მიელია, თავსა იწვევს სულ სხვა გრძნობა
ნუთუ ამას ეძახიან ძლევა მოსილ სიყვარულსა?
მის წინაშე სხვა ქედს იხრის, უკურნებელს ასვამს წყლულსა!
ძლიერს იგი ღონეს ართმევს და ანიჭებს მას უძლურსა.

მედია სრულიად დამონებული ჰყავს ამ გრძნობას, იგი თავის თავს აღარ ეკუთვნის, მან „დაკარგა მისი სიმხნე, მისი ძალა, ჯადოსნისა“. ის დაეკითხება კერპსა და როცა პა-

---

*) „იხ. „სახ. გაზ.“ № 889.

დებს, რომ წინადაც და ახლაც ის წინაღმდეგია განაპირა უბნებში მიწების გამოსყიდვისა რადგანაც ეს ხელსაყრელი არ არის თვით მოიჯარადრეებისთვის, რომელთაც გამოსყიდული მიწები სულ ადვილად გამოეცლებათ ხელიდან.

ხმ. ალექსი-მესხიშვილი აღნიშნავს, რომ საბჭომ უკვე დართო ნება მოიჯარადრეებს მიწების გამოსყიდვისა და ახლა ზედმეტია ამ დადგენილების გაუქმება. მისი აზრით ადგილობრივი დათვალიერება უნდა მოხდეს და აუცილებლად შეღავათი მიეცეს მათ, ვინც ღირსია.

გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული** თ-დ ა. მ. არღუთინსკის ემხრობა და აღნიშნავს, რომ სურვილი წვრილ მესაკუთრეთა გამრავლებისა მიზანს ვერ მიაღწევს, რადგანაც მათ აუცილებლად კაპიტალი გადაჰყლაპავს.

ხმ. ტიგრანოვს საგონებელში აგდებს ის გარემოება, რომ ქალაქის გამგეობა მოიჯარადრეთა საკითხის გამო რყევაშია და რაღა უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც საპოლიტეხნიკუმო ადგილში მიწები ნაწილ-ნაწილად გაიყიდება.

ხმ. ჭრელაშვილი თხოულობს მოიჯარადრეთა მდგომარეობის შესწავლას, უსამართლობის ჩადენის ასაცილებლად.

ხმ. ჯუნუნცი თავის აზრს მტკიცედ ადგია და დასძენს: ვინ იცის 180 მთხოვნელი 1,800 მთხოვნელად გადაიქცეს, როდესაც ახალი ვადა კიდევ მოვა.

ქალაქის მოურავი **ა. ი. ხატისოვი.** არავინ იცის, მთხოვნელნი მართლა ღარიბნი არიან თუ არა. საჭიროა მიიღოთ გამგეობის მოხსენება. ეს მაინც არ დაგიშლით თავის დროზე შეხვიდეთ მოიჯარადრეთა მდგომარეობაში ცალ-ცალკე.

ხმის უმრავლესობით საბჭო მოიჯარადრეთა შუამდგომლობას უარჰყოფს.

კამათს იწვევს აგრეთვე საკითხი **სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს** დაარსების შესახებ.

შარშან საბჭომ გამგეობას დაავალა ამ საგნის შესახებ დასაბუთებულ მოხსენების წარმოდგენა. მოხსენება გამგეობამ წარმოადგინა. გამგეობა საჭიროდ სთვლის, დაარსდეს საავადმყოფო 100 საწოლით, რომელიც დაჯდება 185,000 მან. ყოველ-წლიური ხარჯი იქნება 49,000 მან. 55 საწოლი უფასო უნდა იყოს, 45 საწოლი კი—ფასიანი, 15—60 მან. თვეში, რაც ყოველ-წლიურად შეადგენს შემოსავალს 10,000 მან. გამგეობის წევრი **გ. ნ. ათაბეგოვი** სხვა აზრისა ყოფილა. ის საკმარისად სთვლის საავადმყოფოს 60 საწოლით, რაც ერთდროულად 96,000 მან. ხარჯს მოითხოვს. ცალკე აზრისაა აგრეთვე სატეხნიკო კომისიის წევრი **მ. ქანანოვი,** რომლის აზრითაც საავადმყოფოს მთელი ხარჯები ტფილისს დააწვება, ისარგებლებენ კი არა ტფილისელნიც. ის საკმარისად სთვლის 70 საწოლს, რომელიც იქნება განსაკუთრებით ტფილელთათვის. საავადმყოფო უნდა დაარსდეს ავჭალასა, ან ავლაბარში.

ხმ. ბაბოვი გამგეობის მოხსენების წინააღმდეგია, რადგანაც ქალაქი თანასწორად უნდა აკმაყოფილებდეს სხვა და სხვა მოთხოვნილებას და არა მხოლოდ საავადმყოფოებისთვის უნდა ზრუნავდეს. ემხრობა მ. ნ. ათაბეგოვის აზრს.

ა. ი. ხატისოვი აღნიშნავს, რომ საფსიხიატრო საავადმყოფო ისეთი დიდი, როგორსაც გამგეობა თხოულობს, აუცილებლად გამოწვეულია საჭიროებით, რადგანაც ახლანდელი თავშესაფარი სულ სავსეა ავადმყოფებით მიხეილის საავადმყოფოს საფსიხიატრო განყოფილებაში კი—ავადმყოფი სასწაულით თუ მოხვდება სხვაფრივ ვერა, რადგანაც ისიც სავსეა ავადმყოფებით. ავადმყოფნი, რომელთა გამობრუნება კიდევ შეიძლება, ქუჩაში რჩებიან.

ხმ. კეილი საკმარისად სთვლის პატარა, მაგრამ სუფთა და საღ ჰაერიან საავადმყოფოს დაარსებას.

ხმ. ავთანდილოვი პასუხს აძლევს არ. ბაბოვს, რომელსაც ჰქონია, რომ ქალაქი საავადმყოფოებზე ბევრ ფულსა ხარჯავს. მართალია—განაგრძობს იგი, ქალაქის საავადმყოფოები ბევრი აქვს, მაგრამ სულით ავადმყოფთათვის კიარა. უმჯობესია დავხუროთ სკოლები, სხვა საავადმყოფოები დასულით ავადმყოფთა თავშესაფარი დავაარსოთ.

ხმ. ბაბოვი. ქალაქი მოვალე არ არის შეაგროვოს მაზრებიდან და მთელის გუბერნიიდან ჩამოყვანილი ავადმყოფები. მათთვის საერობო და სახელმწიფო საშუალებანია. გამგეობის მოვალეობაა, წინადადება მისცეს ადმინისტრაციას, გაუღოს მიხეილის საავადმყოფოს განყოფილება ავადმყოფთ და ქუჩაში არ დაყაროს. ქალაქმა პატარა საავადმყოფო უნდა ააგოს იაფ ადგილსა და სუფთა ჰაერზე.

ხმ. ხარაზიანს უკვირს, როგორ თხოულობს ამ საქმისათვის გამგეობა ასე დიდ თანხას.

ხმ. ალექსი-მესხიშვილი აღნიშნავს, რომ საავადმყოფოს საჭიროება დიდია, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს. უნდა აშენდეს საავადმყოფო მუდმივი. ამიტომ ემხრობა გამგეობას მოხსენებას.

ხმ. მიტკევიჩი. ქალაქის თვითმმართველობას დასჩემდა ერთგვარი მანია ფუფუნებისა. ყველაფერი გვინდა დიდებული იყოს. ვაშენებდით ზუბალაშვილის სახელობის საავადმყოფოს და უცებ გადადებული ფული არ გვეყო. ვაცნობებთ შემომწირველს, რომელმაც მომწერა: „შევეკითხეთ ავტორიტეტულ პირთ და გვიკვირს, რომ ფული დაგაკლდათ. ფულს მაინც კიდევ შემოგწირავთ“. ქალაქის თვითმდგომარეობა ყოველ წლივ აუტანელ მდგომარეობაში ვარდება. ჩქარა გამგეობა ხარჯთ-აღრიცხვას დეფიციტით წარმოადგენს. უკეთესია ავაშენოთ საავადმყოფო 70 საწოლით, რის შეძლებაც გვაქვს.

ხმ. ხუნუნცი ორჯელ ილაშქრებს გამგეობის მოხსენების წინააღმდეგ.

ხმ. ვესელოვზოროვი გამგეობის მოხსენებას ემხრობა და დასძენს: ახალ დებულებით საავადმყოფოს ხარჯების ნაწილი სახელმწიფო თანხით იქნება გასტუმრებული.

ხმ. იოანისიანი კრებას ურჩევს, მოხსენება პრინციპიალურად მიიღოს და დაავალოს გამგეობას დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენა.

გ. ნ. სტეფანოვი (სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი, რომელმაც მოხსენება შეადგინა) ამტკიცებს: გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ამ საქმისთვის ყოვლად შეუძლებელია იმაზე ნაკლების გადადება, რასაც გამგეობა თხოულობს.

ა. ი. ხატისოვი. საერობო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს მეც ვიქნები მიწვეული და იქ ქალაქის ინტერესს დავიცავ ამ საკითხში.

კრება გამგეობის მოხსენებას უარჰყოფს და იღებს **ხმ. ხუნუნცის** წინადადებას: დაევალოს გამგეობას, შეიგულოს ადგილი საფსიხიატრო საავადმყოფოსთვის და შესაფერი პროექტი შეადგინოს.

ამის შემდეგ, შუაღამის 12 საათზე, ხმოსნები იშლებიან და ხორცის ახალი ნიხრი დაუმტკიცებელი რჩება.

ქუთაისის ავ-კარგი

მაისი ქუთაისისთვის დიდი შრომისა და ღელვის თვეა. რაც კი რამ არჩევანია, ყველა მაისში იყრის თავს. ვინაიდან არჩევანი ქუთაისში განსაკუთრებულ ელფერს, მითქმა-მოთქმას და ბრძოლას იწვევს, ყველა მიხვდება, რომ ჩვენი ქალაქი გამოცოცხლდება ხოლმე. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჱ ათასი ახალგაზდობა იბრძვის ზოგი შემდეგ კლასში გადასასვლელად, და ზოგიც სიმწიფის ატესტატის მისაღებად და მაშინ მიხვდებით, რომ მაისი სახუმარო თვე არ არის.

ერთი არჩევანი უკვე გავისტუმრეთ. ქუთაისის საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების წევრნი ერთ დღეს შეიკრიბნენ, იმავე დღეს გაარჩიეს პროგრამაში მოთავსებული საქმეები და არჩევნები დაასრულეს. ამ კრებას სამწუხაროდ მე ვერ დავესწარი, მგოლოდ იქ მყოფთ მიამბეს, რომ ასეთი სისწრაფის მიზეზი კრების საქმეების განხილვაში ერთის მხრით ის არის, რომ წევრნი ყმაყოფილნი არიანო თავის არჩეული კაცებისა და, მერე, საბჭოს წევრმა ბ-ნმა კრინიცკიმ შეუწყოვო ხელი. ჩვენ სულ იმას გვიკიჟინებენ, ბევრი და უთავბოლო ლაპარაკი იცითო და საურთიერთო საზ. წევრთა კრების შემთხვევა სულ წინააღმდეგი წასაბაძი მაგალითია, მაგრამ ეს კი ვერ გამიგია, რა ნაირად შეიძლება ერთი ყუთით გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. არა მჯერა, რომ არჩეული კაცები ერთნაირად მოსწონდა კრების წევრთ და თუ ეს მართალია, მაშინ ასეთი არჩევნების მოხდენა, მეტი რომ არა სთქვას კაცმა, წევრთა შევიწროება.

ამ კრებას ერთი ფრიად საყურადღებო გადაწყვეტილობა მიუღია—საზოგადოებას სურვილი გამოუცხადებია, რომ თავისი სახლი ქალაქს მიჰყიდოს 140 ათას მანეთად. რამდენადაც ვიცით, ქალაქიც თანახმაა ამ ფასად იყიდოს ის სახლი, საცა ეხლა იგი ბინადროს და თუ ეს განზრახვა სისრულეში იქნა მოყვანილი, მაშინ ერთი ფრიად საყურადღებო საქმესაც ჩაეგდება საფუძველი—მე ვგულისხმობ თეატრისათვის ადგილის შეძენას. საურთიერთო საზ. ადგილი იმდენად დიდია, რომ აქ, გარდა ქალაქის დაწესებულების მოთავსებისა, ადვილად შეიძლება თეატრიც აშენდეს. თუ იმისაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ადგილი ქალაქის ცენტრშია, მაშინ თეატრის ადგილის მოპოვების საკითხიც გადაწყვეტილა. ამიტომ იმედი გამოვაცხადოთ, რომ ქალაქის საბჭო და გამგეობა ამ საკითხს მალე და ადრე დაამთავრებს.

⁂

რაკი ქალაქის საქმეებზე მოგვიხდა ლაპარაკი—ორი ახირებული გარემოება უნდა აღვნიშნო. ქუთათურთათვის ბულვარი ერთად-ერთი სასეირნო ადგილია, მისი ერთი ორი დღით დაკეტვაც კი ძნელი საქმეა, ჩვენმა ქალაქის გამგეობამ კი აგერ მეორე თვეა დაკეტა ბულვარი და მის გაღებას არა ეშველა-რა. თუ გააღებენ, ისიც მისთვის, რომ სეირნობა გამართოს ამა თუ იმ კულტურულმა დაწესებულებამ. მართალია ბულვარში მუშაობაა, მას ამშვენებენ და ამშვენიერებენ, მაგრამ ნუ თუ ამდენ ხანს ამ მუშაობის დამთავრება არ შეიძლებოდა? ან და რატომ უფრო ადრე არ დაიწყეს გზების დ პავილიონების კეთება, რომ გაზაფხულის პირას მოქალაქენი ერთად-ერთ დასასვენებელ და სასეირნო ადგილს არ ყოფილიყვნენ მოკლებულნი?

⁂

მეორე საქმე უფრო დიდ კითხვის ნიშანს იწვევს. არსებობს ქუთაისში ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება. წევრნი ამ საზოგადოებისა მოქალაქენი არიან. დამაარსებელი მისი ქალაქია და ამ უკანასკნელს ზედამხედველ კომიტეტში თავის წარმომადგენელი ჰყავს. როგორც ხედავთ, ქალაქსა და დამზღვევ საზოგადოების შორის კავშირი დიდია და ამიტომ დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს ის გარემოება, რომ ქალაქის გამგეობას ერთ-ერთი თავის შენობა სააქციონერო საზოგადოებაში დაუზღვევია და არა ადგილობრივ საზოგადოებაში. ზემოდ აღნიშნული კავშირიც რომ არ არსებობდეს, საურთიერთო დამზღვევმა საზოგადოებამ დიდი სამსახური გაუწია მოქალაქეთ—მისი მეოხებით სააქციონერო დამზღვევი საზოგადოებანი იძულებული შეიქნენ გადასახადი თითქმის გაენახევრებინათ. გარდა ამისა იმ დროს, როცა სააქციონერო საზოგადოებათა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს რევოლუციის დროს დამწვარი სახლების სასზღაურის გაღებაზე, ადგილობრივმა ყოველი სიტყვის უთქმელად გაისტუმრა თავისი დაზარალებული წევრნი. ნუ თუ მარტო ეს გარემოება საკმარისი არ არის მისთვის, რომ ქალაქის გამგეობა მისგანვე დაარსებულ საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებას, რომლის წევრები მოქალაქენივე არიან, მეტი ყურადღებით ეპყრობოდეს.

ს. ე. ვ.

სომხური პრესა

სომხური გაზ. „კოვკასი ლრაბერი“ ილიას ძეგლის გახსნის გამო შემდეგსა სწერს: „დღეს ჩვენი მეზობელი ქართველ ერის ლიტერატურულ-კულტურული უდიდესი დღეა. მთაწმინდის წმ. დავითის ეკლესიის გალავანში იხსნება ქართველთა ცნობილი მგოსნის და რომანისტის ილია ჭავჭავაძეს ძეგლი, რომელიც დაუდგა მას მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ნიშანი პატივისცემისა და მადლიერობისა. ძეგლის გახსნაში მონაწილეობას მიიღებს მთელი საქართველო თვისის მრავალ წარმოადგენლების საშუალებით. რედაქცია გულით და სულით ულოცავს ქართულ ლიტერატურის დღევანდელს მნიშვნელოვან დღეს და ჰსურს, რომ ქართველმა ერმა დაჰბადოს მრავალი ნიჭიერი ძენი, რომელნიც თავიანთ ლიტერატურულ ხელოვნურ დამსახურებისათვის ღირსნი გახდნენ როგორც ხელთქმნილი, აგრეთვე ხელთუქმნელ ძეგლისა.

სოხუმელთა შორის

28 აპრილს სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება მოხდა წლიურ ანგარიშების განსახილველად. კრებას დაესწრო ორასზე მეტი წევრი, უმრავლესობა ჩვენებურები იყო. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ. ბ. ნ. ზახაროვი, მდივნად კი—ნ. ჯანაშია. კრებამ მოკლე კამათის შემდეგ წლიური ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა მდგომარე 1913 წლისა ერთხმად დაამტკიცა, მხოლოდ მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ დაადგინა: „ვისაც ხუთ თუმნამდის ეძლევა, მას მიემატოს 20 პროც., ხოლო ხუთ თუმნის ზევით ვისაც ეძლევა—ათი პროცენტიო“. მოსამსახურეთა საპენსიო კასის დაარსების შესახებ ვრცელი მოხსენება იყო წარმოდგენილი; კრებამ დიდი ხმის უმეტესობით ესეც მიიღო; ამის ძალით თვითოეული მოსამსახურე სტოვებს ბანკში თავისს ჯამაგირის 5 პროც., ხოლო ბანკი უმატებს—10 პროც., და ასე შესდგა ფონდი. ყოველ წევრს ფონდისას, როდესაც ჰსურს, შეუძლიან გაიღეს და ეძლევა ის თანხა თავის პროცენტებით, რომელიც მისს სახელზე შესდგა.

დიდი კამათი გამოიწვია ბანკის ცხოვრებაში წარმომადგენლობითი სისტემის შემოღების შესახებ საკითხმა. კენჭმა ეს საკითხი მეორეჯერ უარჰყო.

დიდი კამათი და აზრთა შეხლა-შეჯახება გამოიწვია საკითხმა თამასუქით უზრუნველ ყოფილ მიმდინარე სპეციალურ ანგარიშით (спец. текущ. счетъ) სესხის გაცემის შესახებ. ამ საკითხის მომხრეებმა გაიმარჯვეს და საკითხი ხმების უმრავლესობით გავიდა.

დივიდენდებად დასარიგებელი წმინდა შემოსავალი ბანკისა წლეულ აღემატებოდა 11,000 მანეთს, და 115 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 47-ისა კრებამ დაადგინა: „ამ მოგების 50 პროც. დაურიგდეს სკოლებს: ქართულს, ბერძნულს, სომხურს, ებრაულს და ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებელ საზოგადოებას იმის და მიხედვით, თუ რომელ ეროვნებას რამდენი ერგება ამ მოგებიდან თანახმად მის მიერ შეტანილ თანხისა“. ამ გარდაწყვეტილებით ქართულს სკოლას დაახლოვებით ერგება 2500 მანეთამდის.

დასასრულ მოხდა არჩევნები, და ერთხმად არჩეულ იქმნენ ისევ ძველები, გამგეობის წევრად: ან. ივ. ჯუღელი, საბჭოს წევრებად კი—ნ. გ. ჩიქოვანი და გ. ბ. გვალია. სარევიზიო კომისიის წევრებად ისევ ძველები აირჩიეს.

ჰამუთ-ბეი.

ბალკანეთი და სახელმწიფოები

მოკავშირეთა უთანხმოება.

ბულგარეთის პოლიტიკურ წრეებში ამ ბოლო დროს სრულიად დაეკარგა ნიადაგი ოპტიმისტურ განწყობილებას მოკავშირეთა შესაძლო მორიგების შესახებ. უმეტესობის აზრით, თუ რუსეთი ენერგიულად არ იმოქმედებს სერბიის დიპლომატურ წრეებში, ბულგარეთს ერთი რამ-ღა დარჩენია—იარაღით დაიცვას თვისი უფლებანიო. საბერძნეთთან უფრო მშვიდობიანად სწარმოებს მოლაპარაკება. შეტაკებანი, რომელიც ბულგარეთ-საბერძნეთის ჯარებს შორის მოხდა ქავალის მიდამოებში, მოსპეს დროებითი შეთანხმების დადებით.

საშიში ნიშანი.

ჟენევიდან იუწყებიან, რომ იქაურ ბულგარელ სტუდენტებს, რომლებიც ახლახან დაბრუნდნენ ჩათალჯიდან და ბულაირიდან, კვლავ ტელეგრაფით ებრძანათ, დაუბრუნდით თქვენს რაზმებსო. იქაურ ბულგარსერბიელთა კალონიაში აუცილებლად მიაჩნიათ სერბია-ბულგარეთის ომი.

სერბიის მოთხოვნილება.

უთანხმოების მთავარ მიზეზს ამ ჟამად დროებითი ზავის ხელმოუწერლობა შეადგენს. ბულგარეთი იჩქარის, რაც შეიძლება, მალე მიიღონ მოკავშირეებმა ევროპის სახელმწიფოების მიერ შემუშავებული სამშვიდობო პირობები. სერბიას კი არა სურს ხელის მოწერა მანამდე, სანამ ხელშეკრულობაში დაწვრილებით არ იქნება ნაჩვენები ალბანეთის ჩრდილო საზღვრები, რადგან მას ეშინია, რომ მომავალ საზღვართა კვალი ძლიერ ახლოს გაივლის იმ ქალაქებთან, რომელნიც მას ერგება. როგორც ეტყობა, რუსეთი დ საფრანგეთი მხარს უჭერენ სერბიის ამგვარ მოთხოვნილებას, ხოლო ავსტრიის პრესა აშკარად ექომაგება ბულგარეთს და სამართლიანად მიაჩნია მისი მოთხოვნილება, რითაც კიდევ უფრო მწვავდება მდგომარეობა.

სუხად: „კერპმა პირი მოუქუშა მედიასა სახე მკრთალსა“, მედიამ ვერაფერი გაიგო ამ გაფრთხილებისა და უფრო ისე აიხსნა, როგორც მასში ატეხილი ვნებათ-ღელვა უკარნახებდა: ისე მიიღო ეს ნიშანი ღვთაებისა, თითქო მას კერპი არას ეუბნებოდა და არ ერეოდა მის საქმეში. ამის შემდეგ შეიქმნება მედიას სრული მოჯადოება: ყოველ წუთს იგი ყრმა თვალ წინ უდგას, მას ეალერსება. მას მოჰხიბლავს.

„ღია მკერდსა ემბორა, თან მოჰხვია თრთოლვით მკლავი,
ეს მე ვარო!—ჩარჩურჩულა—გარს მარტყია ნისლი შავი;
დაგატკბობ და გაგშორდები უცნობი და უნახავი
რა მეფის ქალს დაეკონა, თვალნი ვნებით მიულულა;
შემდეგ გაჰქრა შეუმჩნევლად, გული ისრით დაუწყლულა
როს მედია გამოერკვა—ვინა ხარო? შეუძახა
მაგრამ გვერდით არვინ იყო, ეგონა თუ სიზმრად ნახა.“

ერთის მხრით კიდევაცა გრძნობს მედია, რომ ამ ჩვენებას თავისი აზრი აქვს; კიდევაც იცის, რომ „ირამ გაუცხადა მომავალი, „იაზონიც ასე წავა, ვით ჩვენების გაჰქრა კვალი!“ მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას დაკარგული აქვს „მისი სიმხნე, მისი ძალი, ჯადოსნობა“, მისი ოცნება დაავადმყოფებულია: იგი გალიუცინაციების მონად გარდაქმნილია; მის თვალებს ძილი აღარ ეკარება და მის გულს მოსვენება.

„სული დრტვინავს მედიასი: მას სიზმარი ელანდება—„ეს მე ვარო, ვის უხმობდი და ვინც გულს ასე გიწუხებს და იასონის ლანდი წარმოსთქვამს ფიცს იმის მსგავსს, როგორსაც ლერმანტოვის „დემონი“ და გინდ მამია გურიელის პოეტი („პოეტი და ჩვენება“). უნდა გულ ახდილი ვსთქვათ ამ ფიცმა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა; უფრო სუსტად მოგვეჩვენა ვიდრე ზემო ხსენებულის პოემების ფიცი.

მაგრამ ამას ჩვენთვის აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მივსდიოთ კვალ და კვალ მედიას თან და თანობით სიყვარულის ქსელში გაბმას.

სთქვა ჭაბუკმა და მედიას დაუკოცნა ბაგე ცხელი;
მიიზიდა მკერდთან ახლოს, რა მოჰხვია წელში ხელი.
მეფის ქალი შეკრთა უცბად, წამოვარდა ვითა ხელი
ლანდი გაჰქრა, მიეფარა, მედიას ხვდა სევდა მხვრელი“.

მედია ისევ ლოცვას მიმართავს, მის მოკავშირე ღვთაებას ემუდარება, უნდა უკანასკნელი ძალი მოიკრიფოს, თავს აჯერებს „არა, არა! არ შევიტრფოვ! ძალა შემწევს და ნებაო“! მაგრამ მისი არსება სრულიად დაუძლურებულია, ლოცვის მაგიერ, მისი გული სამიჯნუროდ ფეთქს და ღელავს

„ლოცვას სწყვეტდა შუა ადგილს, მისი ცნობა ფიქრს წაეღო,
როდეს ხელნი მთრთოლვარენი ზეაღაპყრო სასოებით,
ჰნახა, ძეგლი ცოცხლად ქმნილი, ხორც შესხმული სავსე ვნებით“

ამგვარად მისთვის კერპის ხატებაც კი იქცევა მომხიბვლელ სატრფოდ. და ეს განხორციელება კერპისა წუთიერი კი არ არის, მედია მთელ დიალოგს გამართავს იაზონთან, ფიცსაც კი დაადებინებს არ უღალატოს, იმიტომ, რომ მისი გული ეჭვით არის ალსავსე, მეო

„... ვეჭვობ მიერთგულო, ღალატი გულს გასვენია!“ მაგრამ ამისთანა ეჭვებს არავითარი გავლენა არა აქვს მაზედ. ეს ეჭვი ეს უნდობლობა სიზმარია, იგი სადაც შორს მედიას მეორე არსებაში ჩამარხულა და იქიდან ხანდისხან თავს წამოჰყოფს მისი სულის შესაშფოთებლად. გარეშე ამისა იგი მთლად ერთიანად მგრძნობელობის ტრთოლვითაა ატანილი და ვნებათა ღელვაში ისეა ჩაფლული, ვით ზღვაში გადავარდნილი კაცი, რომელიც საშველს ვერსაით ჰხედავს.

მგოსანი მედიას დამონებულ სულის ვითარებას გადაგვიშლის თვალისწინ და ამ აზრით ერთ ხელოვნურ ხერხს მიმართავს. იაზონი რომ მედიას დაელაპარაკება, პირველ გამიჯნურებას ამ სიტყვებით დაიწყებს და ამითვე ათავებს:

— „ალბად იცი, მასულდგმულებს რა მიზანი,
ვეძებ ოქროს მატყლოვანსა, შენც გცოდნია მისი გზანი“.

იაზონი, ამგვარად სრულიადაც არა ჰფარავს მისი მგზავრობის მიზანს, მედიასთანა ბრძენს და გრძნეულს ადამიანს კი არა უბრალო გულუბრყვილო ქალიშვილსაც შეეძლო ადვილად მიმხვდარიყო, რომ იაზონმა თუ მედიას „შესხმა უძღვნა, შეადარა ვარდ-იასა“ იმიტომ, რომ თვისი აზრის განხორციელებას უფრო ადვილად მიაღწიოს მისი გადაბირებით და შემწეობით. ეს მშვენივრად ესმის მედიასაც, მაგრამ ველარავითარი მოსაზრება ველარ შეაკავებს და თავბრუდახვეული მიჰქრის იმ უფსკრულისაკენ, რომლისაკენაც ულმობელი სქესებრივი ლტოლვა მიაქანებს. შესაძლოა ავტორი სცდებოდეს, როცა იაზონს ასე ბრიყულად წამოაროშვიდნეს თავის გულის ნადებს, მაგრამ მედიას ბრმა გრძნობის გასათვალისწინებლად ეგ საშუალება ყოვლად მისაღებია და ჩინებული. მაინცა და მაინც პოემის მთავარ თემას, საგანს, უფრო მედიას უცნაური, დამღუპველი სიყვარულის დასურათება შეადგენს, ვიდრე იაზონის მოქმედების, მისი დიპლომატიური ოინების აღნუსხვა.

იაზონს არც თუ უცაბედად წამოსცდენია თავისი იდუმალი განზრახვა, ის თითქო ვერძის ტყავს მიჯნურობის სასყიდლადაც კი ითხოვს.

„იაზონი იდუმალად თითქოს ყურში ჩასძახოდა:
„მომეც ხელი, შემიყვარე!“ გლახ მედია უფრო თრთოდა.
ვერძის ტყავი როგორ ვპოვო? მითხარ, მითხარ მასზე რამე,
ნუ დამიხშობ ნათელს სვეტსა, რომ მოგაგო მეც სიამე“

იაზონი დაჟინებით ვერძის ტყავსა სთხოვს, კიდევაც ვაჭრობს: თუ გინდა „მეც სიამე მოგაგო“ ვერძის ტყავი მომეციო. გამოდის, რომ იგი ერთნაირად თავს ასყიდებს ქალს: იცის მისი გრძნობათა აშლა და ამ გრძნობათა დაცხრომაში ქრთამსა სთხოვს. მაგრამ მედიას ეს ვერ აშინებს, ვერც შეაფერხებს მედიას. კიდევ უარესი: მედიამ კარგად იცის საეროვნო მნიშვნელობა ვერძის ტყავისა:

„იგი ერის საუნჯეა, ხოლო ჩემი ნატვრის თვალი
შენ გასწავლო, ხალხს რა ვუყო, როგორ ვზიდო ცოდო-ბრალი?
ერი ჩემი უიმისოდ დაობლდეს და იქმნეს მხდალი.
მცხოვრებთ შორის დაემტკვიდროს: შური, მტრობა, სატკივარი,
ზარით აღდგნენ ერთმანეთზე და დაეხშოთ ცისკრის კარი.
. . . . . .
უცხო მტერი შეესიოს, ჰქმნას მონა და გლახ საპყარი:
მოსვენება მოენატროს, ტყვედ შეიპყრან თვით მთავარი“.

ყოველივე ეს იცის მედიამ, მაგრამ ისეა დამთვრალი და გონება მოჯადოებული თავისი საუბედურო გრძნობით, რომ აღარაფერი აღარ ახსოვს, ყოველივეს გადათელავს და მსხვერპლად მიიტანს ამ მოსისხარი კერპის დასაამებლად. და თვითვე გულ-ამოსკვნილი გოდებს:

„ვაი ჩემ თავს, რომ მომხიბლა და წამართვა გულის ცნობა!
რად მომესპო სიხარული, რად მიზიდავს მისი ტრფობა?
რად დავკარგე ჩემი სიმხნე, ჩემი ძალა, ჯადოსნობა?
ყველას ფერი მიელია, თავსა იწვევს სულ სხვა გრძნობა.
ნუ თუ ამას ეძახიან ძლევა მოსილ სიყვარულსა?
მის წინაშე სხვა ქედს იხრის, უკურნებელს ასვამს წყლულსა
ძლიერს იგი ღონეს ართმევს და ანიჭებს მას უძლურსა. (გვ. 61)

ასეთია ძალა უკურნებელის სენისა, რომლითაც შეპყრობილია ეს ადამიანი. იგი, რომლის „სასწაულში არვინა ჩნდა უფრო მჯობი“, იგი, რომელიც იმასაც კი ახერხებდა, რომ „მხდალს უდგამდა გმირის სულსა, გმირს ვაგლახად შიშსა ჰგვრიდა“—ეს ადამინი ზღვასავით მოდენილ გრძნობის წინაშე პაიკად იქცევა, სრულიად უნებურ ადამიანად, რომელიც ველარას ხედავს, ველარას არჩევს და თუ ხედავს რასმე, თუ ამჩნევს რასმე იგი მასში აღარავითარ შთაბეჭდილებას არ იწვევს: სონამბულად ქცეულიათქო ხომ მოგახსენეთ.

იცის მედიამ, წინათგრძნობა არ ატყუებს, რომ იაზონი, აღისრულებს რა საწადელს, ფეხ ქვეშ გასთელავს მის მსხვერპლს, იმის გრძნობას, მის გულსა და სულსა. აი რას ეუბნება იაზონს:

„—... ვეჭვობ მიერთგულო, ღალატი გულს გასვენია!
„დაპირება დიდი არის, ასრულება დაგრჩენია“

და თანაც აფრთხილებს

„.... შემდეგ არ ვივალალო, არ ვსთქვა: რისხვა დამეც ალო!
„ვით ღრმად ძალმიძს სიყვარული—დაბრკოლებას დავეძალო,
„ეგრედ შევძლებ ღრმა სიძულვილს, გული კლდესებრ გავისალო“.

როგორც ეჭვი, ისე გაფრთხილება მეტად სერიოზულის გადაჰრილის კილოთია ნათქვამი. აქ კეკლუცობის ნასახიც არ არის, ამის მთქმელს კარგად ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული, რაც მოსდიოდა.

(შემდეგი იქნება)

კიტა აბაშიძე.

ბულგარეთის მუქარა.

ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა გეშოვმა განაცხადა, რომ ზავის წინასწარ პირობების ხელმოუწერლობის კვლავ გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია ბულგარეთის მთავრობისთვისო. ამ გარემოების მიზეზად გეშოვი იმ ახალ-ახალ მოთხოვნილებათა აღძვრას ასახელებს, რომელთაც სერბია-საბერძნეთის მხრით დასასრული არ ეძლევა. ამიტომ ბულგარეთის მთავრობამ შეატყობინა სერბიის და საბერძნეთის კაბინეტებს, რომ ბულგარეთი იძულებული იქნება კერძოდ მოაწეროს ხელი წინასწარ პირობებს დანარჩენ მოკავშირეთა დაუკითხავადაო.

ეგეის ზღვის კუნძულები.

პეტერბურგიდან მოსულ ცნობათა მიხედვით, იტალია თითქოს თანახმაა, დაუბრუნოს ოსმალეთს ყველა ის კუნძული, რომელიც იტალია-ოსმალეთის უკანასკნელ ომის დროს დაიპყრო, იმ პირობით კი თუ ალბანეთის სამხრეთი საზღვრები ისე იქნება გავლებული, როგორც რომის მთავრობასა სურს.

სომხების მემორანდუმი.

სომეხთა პარტიების: „დაშნაკცუთუნისა“, „ჰინჩაკისა“ და კონსტიტ.-დემოკრატების მთავარმა კომიტეტებმა ტელეგრაფით შემდეგი განცხადება წარუდგინეს ოსმალეთის დიდ ვეზირს:

„ბოროტი და სასირცხო მოქმედება მთავრობისა დაღუპვას უქადის სომხეთის ვილაეტებს (ოლქებს). ამდენ ხანს ჩვენ ვსდუმდით, რადგან საშინელი ომი მოსპობას ემუქრებოდა ოსმალეთის იმპერიას. ახლა კი დუმილი დანაშაულობა-და იქნებოდა. ჟანდარმერია და პოლიცია, სამოქალაქო და სამოსამართლო მთავრობანი თითქოს შეთქმულან სომეხთა წინააღმდეგ, რათა სრულიად მოსპონ და ჩაახშონ მათი ნაციონალური გრძნობა. თვით კანონი თითქმის მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ შეძლება მის(ც)ეს ქურთების ყაჩაღთა ბრბოს დაუსჯელად თარეშისა და ადგილობრივ მთავრობასაც გასამართლებელი ღონისძიება უმოქმედებისათვის. სატუსაღოები სავსეა სომხებით, რომელთა შორისაც არიან სრულად უდანაშაულონი და პატივცემული პირები. სომეხთა ემიგრაცია დღითი-დღე იზრდება. თუ მთავრობა ახლავე არ მიიღებს შესაფერ რადიკალურ ღონისძიებას ასეთი დამღუპველი რეჟიმის აღმოსაფხვრელად, ანატოლიის მხარეს ისეთივე სამწუხარო ბედი ეწევა, როგორიც რუმელიას“.

ოსმალეთის ჯარში.

სტამბოლიდან იტყობინებიან: ზავის ჩამოგდებისათანავე, ოსმალეთის მთავრობა გამოსცემს „წითელ წიგნს“, სადაც საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად დაწვრილებით იქნება განმარტებული, თუ რისთვის იქნა ჩამოგდებული მშვიდობიანობა და რამ აიძულა მთავრობა, რომ იგი ასეთ მძიმე პირობებს, დასთანახმდა. „ახალგაზდა ოსმალთა“ კომიტეტმა ჩათალჯასა და ბულაირს გაგზავნა საგანგებო წარმომადგენლები, რომელთაც მოლაპარაკება უნდა გამართონ „სამხედრო ლიგის“ მომხრე აფიცრებთან და ურჩიონ მათ კომიტეტთან შერიგება, რათა საერთო ძალით იხსნან სამშობლო კარსმომდგარი დაღუპვისაგან.

თეატრი და ხელოვნება

ახალი კლუბი. 9 მაისს, ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო ქ-ნ საბანეევისა, ბ-ნი სარაჯიშვილისა და ორდას მონაწილეობით გამართავს საოჯახო საღამოს. წარმოდგენილ იქნება ოპერა „რიგოლეტო“ ვერდისა.

იაპონელ მსახიობთა გასტროლი.

ტფილისში ჩამოვიდა იაპონელი მსახიობი ქალი განაკო ოოტა, რომელსაც მთელი დასავლეთი ევროპა მოუვლია, ყოფილა რუსეთის ბევრს დიდს ქალაქში და ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. განაკო ოოტა იაპონურ ენაზე ჰთამაშობს, მაგრამ ამის და მიუხედავად, როგორც, მაგალითად, გადმოგვცემენ, მოსკოვის ჟურნალი „რამპა ი ჟიზნ“, „რუსკ. ვედ.“, „ტეატრ ი ისკუსტვო“ და სხვები, იგი თავის ხელოვნურის თამაშობით მაინც იპყრობს მაყურებელს. პირველი გასტროლი განზრახულია კვირისთვის.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

7 მაისი.

უცხოეთი.

ბელფორი. ქვეითი ჯარის მე-35 პოლკში მანიფესტაცია მოხდა, სამწლის ვადიან სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ. ჯარის კაცნი ინტერნაციონალს მღეროდნენ.

რომი. სტეფანის ატყობინებენ სკუტარიდან: საერთაშორისო კომისიამ დაარსა დროებითი მუნიციპალური საბჭო, სადაც ქრისტიან და მაჰმადიან ალბანელთა წევრი თანაბარია. ქალაქის გასანათებლად და ტელეგრაფის მოსაწყობად ღონისძიებანია მიღებული. იტალიელ მეზღვაურ ოფიცერს დაევალა დაესწროს მუნიციპალურ საბჭოს სხდომებს. სასანიტარო კომისია, რომელშიაც შედიან ავსტრიელი და იტალიელი ექიმები, ერთი მაჰმადიანი ალბანელი და ერთიც ქრისტიანი, შეუდგა ქალაქის გასუფთავებას.

სოფია. პოლიტიკოსთა წრეებში ჰფიქრობენ მოკავშირეთა კავშირი მწვავე კრიზისს განიცდისო. ბულგარეთი იძულებულია დამოუკიდებლად შეჰკრას ზავი, თუ სერბია და საბერძნეთი ხელ-შეკრულების ხელის მოწერას კიდევ დააგვიანებენ.

ლონდონი. რეიტერის ცნობებით, მოხდა გადაწყვეტილება, ბალკანეთის ოთხი სამშვიდობო მისიის წარმომადგენელნი შეიკრიბებიან 7 მაისს იმ სამშვიდობო ხელ-შეკრულების შეცვლის პროექტის განსახილველად, რომელიც ათინიდან და ბელგრადიდან წარმოადგინეს. ჩერნოგორიის მთავრობას თვის დელეგატებისთვის თავისი შეხედულება არ უცნობებია; ინსტრუქციას ხვალ მოელიან.

ელჩთა თათბირი 7 მაისს განიხილავს ავსტრია-ჰუნგრეთის წინადადებას ალბანეთის მართვა-გამგეობის შესახებ.

საკრამენტო. კალიფორნიის გუბერნატორმა მოაწერა ხელი ბილს, რომლითაც უცხოელებს ეკრძალებათ კალიფორნიაში მიწის შეძენა. ამის გამო იაპონელებმა პროტესტი განუცხადეს გუბერნატორს.

ვაშინგტონი. ბრაიანმა იაპონიის ელჩს გადასცა პასუხი იაპონიის პროტესტზე. პასუხი ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

პარიზი. რეიის ქუჩის ყაზარმებში 300 ჯარის-კაცმა მანიფესტაცია მოახდინა სამხედრო სამსახურის სამი წლის ვადის წინააღმდეგ.

ვენა. „მილიტერიშე-რუნდშაუ“-ს ატყობინებენ: 2 მაისს ავსტრიის ექვსი არტილერისტი ჯარის-კაცი გორკოვციდან ინაგორის მთაზე გაგზავნეს დასათვალიერებლად. ცუდი ამინდის გამო ჯარის-კაცებს აჰრევიათ გზა და ჩერნოგორიის ტერიტორიაზე გადასულიყვნენ. ჩერნოგორიის რაზმმა ჯარის-კაცნი შეიპყრო. ჩერნოგორიის მთავრობის ბრძანებით ავსტრიელი ჯარის-კაცნი იმავე დღეს გაანთავისუფლეს, და იარაღით გორკოვაცში დააბრუნეს.

ვენა. პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა დროებითი ხარჯთაღრიცხვა შეიტანა. სხვათა შორის შტიურკმა სთქვა: ბალკანეთის საკითხში ავსტრია-ჰუნგრეთი მიილტვოდა თვის მიერ დასახულ მიზნისკენ—ბალკანეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებელ განვითარებისკენ პრინციპი „ბალკანეთი ბალკანელ ყველა ხალხთათვის“ ერთნაირად სასარგებლოა, როგორც თვით ბალკანეთის სახელმწიფოთათვის, აგრეთვე ალბანელთათვისაც. ამ მიზნით ავსტრია-ჰუნგრეთმა დაისახა მიზნად—დამოუკიდებელი ალბანეთის დაარსება. საგარეო საქმეთა სამინისტრო ეცადა ამ პრინციპისთვის ევროპის სახელმწიფოთა სანქცია მიეცა, იმ სახელმწიფოთა, რომელთაც ბერლინის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. როდესაც ჩერნოგორია სკუტარის საკითხში წინაამდეგა ევროპის სურვილს, ავსტრია-ჰუნგრეთმა ყოველივე ილონა და ევროპის გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა. ეხლა იმედი გვაქს, ახლოხანში მოკავშირე სახელმწიფოთა და ოსმალეთის შორის მშვიდობიანობა გამეფდება; საგარეო საქმეთა სამინისტრო თავს იდებს გამოირკვიოს ახლობელ აღმოსავლეთის მდგომარეობა და ამასთანავე ერთად სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვარზე დაითხოვს გაძლიერებულ ჯარსო.

ვენა. დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა დროებითი ხარჯთ-აღრიცხვის შეტანის დროს, სხვათა შორის სინანული გამოსთქვა, რომ ჩეხიისა და გალიციაში ეროვნებათა შეთანხმება არ მოხდაო. მინისტრმა გამოსთქვა სურვილი გამოიძებნოს ახალი წყაროები გაძლიერებულ ხარჯის დასაფარავად.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, ბალკანეთის კომისიათა ბელადების თათბირი მოხდა წინასწარ ხელშეკრულების ხელის მოსაწერად.

ვენა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აუკრძალა სტუდენტებს კორპორაციის ფერების ტარება და მათი აკადემიური უფლებანი ფრიად შეჰკვეცა.

რუსეთი.

პეტერბურგი. ბრალმდებლის პროტესტით და დაზარალებულის ვექილის საკასაციო საჩივრით გაირჩა ნაფიც ვექილის პროსალოვის საქმე, რომელსაც ცოლის მოკვლა ბრალდებოდა და მოსკოვის საოლქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულებმა გაამართლეს. სენატმა დაარღვია ნაფიც მსაჯულთა დადგენილება და სასამართლოს განაჩენი და ხელმეორე გასარჩევად წარადგინა პროსალოვის საქმე.

პეტერბურგი. სათათბიროს სასამართლოს რეფორმათა კომისიამ მიიღო მთავრობის რედაქციით კანონ-პროექტი, რომლითაც ფინლანდიაში მომხდარ დანაშაულობათ უქვემდებარებენ რუსეთის საიმპერიო საერთო კანონს. კომისიამ გამორიცხა მერვე მუხლი, რომლის ძალითაც ჩვენების ჩამორთმევა გარდა ფინლანდიის პოლიციისა, ევალებოდა საერთო საიმპერიო პოლიციასაც. ზამისლოვსკის წინადადებით, კანონ-პროექტს შემდეგი დადგენილება მიუმატეს: საიმპერიო კანონებს ემორჩილება აგრეთვე მართლმადიდებელ სამღვდელოების, ჯარის და რუსეთის თანამდებობის პირთა შეურაცხყოფა ფინლანდიაში.

პეტერბურგი. ბეჭდვითი საქმეთა მთავარმა კომიტეტმა დაიჭირა ჟურნალ „ზავეტი“-ს აპრილის ნომერი შემდეგი წერილებისთვის: „ადგილობრივი თვითმართველობა“ და „ხულიგანობა სოფლად“.

პეტერბურგი. საკანონმდებლო კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, დაარსდეს ვიცე-საკონსულო ყაზვინში და შეიცვალოს მაროკოს მისია დიპლომატიის სააგენტოდ და მთავარ საკონსულოდ.

პეტერბურგი. სახალხო განათლების კომისიამ დაასრულა კანონ-პროექტის განხილვა, გაიღოს ხაზინამ 1912 წელს დაარსებულ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირის მოსამატებლად, 961,000 მანეთი, 1913 წლიდან კი 2.282,000 მანეთი ყოველ წლივ.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ქვემოდ დასახელებულ პირთ, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულ ქართულ სკოლას სხვა და სხვა ნივთებით შემოსწირეს:

ქ-მა ს. ლოლუისამ—[illegible] „საქართველოს დიდება“ ჩარჩოში. ქ-მა ნ. ალ. თურქიასამ—ერთი შკაფი და ერთი სტოლი. ქ-მა თეოდორა ალ. ერქომიაშვილისამ—მაცხოვრის ხატი. ბ-ნმა გ. ბ. გვალიამ—ზარი. ბ-ნმა ბულავამ—ძველი კარაბადინი და მ. ესაკიამ—რკინის ნივთები.

სოხ. სკოლის გამგე **ნ. ჯანაშია.**

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყო როგორც წევრთ— „ტფილისის საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდისას“, აგრეთვე პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე დღეიდან ვტოვებ გუნდში მუშაობას, რადგანაც მისმა დამაარსებელმა მიხეილ კავსაძემ სრულიად გადაუხვია პირ და პირ მიზანს და გუნდი სავაჭრო სახლად გადააქცია.

გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე **ნ. ი. ქურელაშვილი.**

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მიუძღვნა ნინო ალ. თურქიასა და ზაქარ ს. თურქიას, რომელთაც ასი მანეთი შემოსწირეს ქ. შ. წ.-კ. ს. სოხუმის განყოფილებას, და აგრეთვე თავად ზ. დ. ბარათაშვილს, რომელმაც იმავე საზოგადოებას შემოსწირა ოცი მანეთი.

სოხუმის განყოფილების თავმჯდომარე **კნ. მ. ნ. ანჩაბაძისა.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც ს. ქურთაში ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელს აღმოუჩინეს ნივთიერი დახმარება: 1) თექლე იასონის ასულს ცისკარიძისას, რომელმაც შემოსწირა ფულად 5 მ., რვეულები და სხვა საჭირო წვრილმანი სასწავლო ნივთები; 2) მარო ივანის ასულს მაჩაბელს, რომელმაც გამოუწერა ბავშვებს „ნაკადული“; 3) თამარ ნიკოლოზის ასულს მაჩაბლისას, რომელიც უგზავნის „ჯეჯილს“; 4) თ-დ ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბელს, რომელმაც შემოსწირა 10 მან. სასწავლო წიგნებისა და რვეულების სასყიდლად და 5) თ-დ ვასილ რევაზის ძე მაჩაბელს, რომელმაც გასულს წელს შემოსწირა 10 მან., ხოლო წელს სკოლის დაფა.

პატივისცემით ს. ქურთის მასწავლებელი **ელენე ილ. კასრაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107. **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65. **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე) № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ველაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ზაზანასოვი: 10—11 ს. ბავშვთა, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:
მ. გ. აველისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ЯПОНСКАЯ СИРЕНЬ
ДУХИ МЫЛО О-ДЕ-КОЛОНЪ ПУДРА
ПРОДАЖА ВЕЗДЪ
Т-ВА ПРОВИЗОРА
А.М.ОСТРОУМОВА
1122
Метцль 148198.

ქირავდება მაღაზია

თეატრის შესახვევში, გოლოვინის პროსპექტის კუთხეში. მიჰმართეთ საარტისტო საზოგადოების შენობაში, მეეზოვე **ადოს.** 276

ვაგზლის
სამშობიარო თავშესაფარი
ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა
ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება
სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე.
თავშესაფ. გამგე **ექიმი ა. გ. ავეტისოვი, ვაგზლის ქუჩა № 2, ტელეფ. № 3—22**
1018.

პარიჟის სულ ახალი ფასონები
კორსეტების
ვენის [illegible]
[illegible]
ტფილისი, ვერის დიდი და [illegible] ქ. კუთხეზე.
1168.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჟარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მექანიკური ნაწარმოები. 170



ქირავდება

დიდი სუფთა მშრალი სარდაფი
ღვინისა ანუ სხვაგვარ საქონლის საწყობად და სავაჭროდ. ოლგას ქუჩა, № 11, სახლი ნაზარბეგოვისა. 273

ახალი მოდის ჟურნალი
„GEORIA“
1913 წლის საზაფხულოდ დამზადებული ნიმუშებისა. ფასი 15 კაპ.
მიჰმართეთ **ს. ი. მატინიანცის** მაღაზიაში, ნიკოლოზის ხიდზე. 1184

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ქართლის საუცხოვო მამულში,
რვა ვერსის მანძილზე ქსნის სადგურიდან, **სოფელ მუხრანში,**
ამლევენ იჯარით
მოსავალს ხეხილის ბაღისას,
ზომით **ორმოცი დღიურისას,** საუკეთესო საზღვარ-გარეთული მსხალი და ვაშლები. პ ი რ ო ბ ე ბ ი გაიგება მამულის კანტორაში. მისამართი წერილებისათვის—მუხრანის ფოსტის განყოფილება. 268

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილიება ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/₀ და 35°/₀, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

კახეთის რკინის გზა

ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. **„კავკაზის“** რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პრობით.

200 მანეთიან ოქროს საათის ნაცვლად გირჩევთ შეიძინოთ **ხრონომეტრი,** მხოლოდ **4 მ. 70 კ.,** რომელიც თავის ფორმით და სილამაზით არ ჩამოუვარდება ოქროს საათს, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტი ძნელად გაარჩევს მას ნამდვილ ოქროსაგან. საათის მოყვანილობა ფრიად პტყელია, ვერცხლის მანეთიანის სისქისა; გაკეთებულია ნამდვილ ამერიკულ ოქროთი; იგი არა ჰკარგავს თავის პირველყოფილ სახეს, ორგინალური სურათებით. (ნახეთ სურათ.) საათი **ხრონომეტრი** კაცისა ან ქალისა, გარჩეულია თვისი სისწორით, ნამდვ. ან ცრონ. 40 საათში ერთხელ იმართება 15 ქვიანია მსურს რა გავავრცელო ჩემი ფირმა პრემიის სახით ყოველ საათთან ერთად უფასოდ ვგზავნი 20 ძვირფას ნივთს. 1. ნამდვილი ამერიკულ ოქროს ძეწკვი, 2. შანა კინემ. საინტერესო ქალების სახეებით, 3. საათის ზამშის ბუდე 4. საათის ქურდებისაგან გასაფრთხილებელი, 5—8. ჯიბის ტავის ბუდე გზაში საჭირო ნივთებ სათვის, თან ოთხი საჭირო ნივთი იქნება, 9. საზღვარგარეთ ნაკეთები პორტმანი 7 გა ყოფილებით, 10. შემკვეთელის გვარის, სახელის და მამის სახელის ბეჭედი; 11 ბეჭედ სთვის სალებავი ფლაკონით, 12 ბეჭედი ნამდვილ ამერიკულ **დუბლესი,** 13. პარიზული პლასტოგრამა, რომელიც დანადვილებით აჩვენებს ბუნებრივ ყოველნაირ [illegible], 14—19 ექვსი საინტერესო სურათი მასთან ერთად, 20. თეატრის ბინოკლი, 4 ახრომ. **ჩვეულებრივი ზომის მ ნით,** რომელიც ორეულ საგნებს ფრიად ახლო აჩვენებს. მხოლოდ 4 მ. 70 კ., ორი საათი 9 მ. 30 კ. ესეთივე უხმო საათები 5 მან. 70 კაპ. ორი 11 მ. 20 კ. პასუხს ექვსი წლით ვაგებ; ვგზავნი ფასდადებით უბეოდ. გაგზავნა 40 კ., ციმბირში 75 კ., მისამართი: საათების საწყობი И. Штрумфельд, Варшава, Электоральная 11 отд. 54.
Метцль 21663. 1135.

მუდამ დღე მოგვდის
საკუთარი სამრეწველოებიდან
ახალი თევზი:
მტკვრისა, თართი, ზუთხი, ლოქო, და სვიდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა (ქილაკა)
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დუში, იანი, ჭიპა, ზურგიელები, სხვა ყოველნაირი თევზეულობა და კონსერვები.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.